ცნობის ფურცელი

VI წ. ყოველ-დღიური გამოცემა 1901 კვირა, 12 აგვისტო № 1551

გაზეთის ფასი: წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ., ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ. მეოთხეზე—5 კაპ.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბის“ და „ცნობის ფურცლის“ რედაქციაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27, და წიგნების გამომცემელ ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირისპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დ 11 საათიდან 1-ლ საათამდე.

რედაქციის კანტორა იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე, მარტიროზოვის სახლში, № 27.

ფოსტის ადრესი· Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“—„Моамбе“. ტელეფონი № 372.

საფაბრიკო საწყობი

ქაღალდის ფაბრიკის სააქციონერო საზოგადოებისა

გ. ი. პალლოზენ

რუევის ქაღალდის ფაბრიკის ამხანაგობისა და კოშელევების ქაღალდის ფაბრიკებისა.

ტფილისი, გოლოვინის პროსპ. და გიორგის გუჩის კუთხე. ✿ **ბაქო,** მილიუტინის ქუჩა, გრანდ-ოტელის ქვემოდ.

ქაღალდი ყოველ-გვარი: ფოსტის, საწერი, წიგნის, ალბომის, გაზეთის, საბეჭდი, მუნდშტუკის, ბოთლის გასახვევი და სხვა; აგრეთვე წიგნები, კონვერტები, საწერი და საკანცელარიო საგნები. ტელეფონი № 67. (ნ. 0—4)

ქართული დრამატიული საზოგადოების

გამგეობა

სექტემბრის პირველ რიცხვებში გამართავს

გამოსაცდელ წარმოდგენას.

ვისაც ჰსურს ამ წარმოდგენაში მიიღოს მონაწილეობა, მიჰმართონ საზოგადოების კანტორაში (სათავად-აზნაურო ქარვასლაში, თეატრის გვერდზე) ყოველ დღე, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის პირველ საათამდე. (5—3)

ქალების პროგიმნაზია

ელენე ბახტაძისა

დ. ხონში

ამით აცხადებს, რომ მოსწავლეთა მიღება უმცროს და უფროს მოსამზადებელ, პირველ და მეორე პროგიმნაზიულ და აგრეთვე წელს გახსნილ მესამე პროგიმნაზიულ კლასებში დაიწყება 20 აგვისტოდან და გაგრძელდება მთელი წლის განმავლობაში. თხოვნები უნდა გამოგზავნონ პროგიმნაზიის უფროსის—ელენე ბახტაძის სახელობაზე. სწავლის საფასური როგორც მოსამზადებელ, ისე პროგიმნაზიულ კლასებში 30 მანეთია წელიწადში.

ტფილისის კერძო სამკურნალო

მიხეილ გედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა უქმეების გარდა

დილით:

გ. ი. ჭიჭინაძე—კბილის სნეულებანი 8—10 საათამდე.

მ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 9—10 საათამდე.

გ. რ. მაღალაშვილი—შინაგანი 10—11 საათამდე, სამშაბათობით და ხუთშაბათობით.

ნ. ა. მუღინი—ყურისა, ყელისა და ცხვირისა 11—12 საათამდე.

ი. ზ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—12 საათამდე.

ა. ნ. შატილოვი—თვალისა 10—11 საათამდ.

დ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და შინაგანი 12—1 საათამდე.

მ. გ. ფეოდოროვი—შინაგანი და საბავშვო 9—10 საათამდე.

გ. ლ. მარკევიჩი—სადოსტაქრო 12½—1½ საათამდე, სამშაბათობით 3—4 საათამდ.

ი. დ. ბეგთაბეგოვი—სიფილისისა, კანისა და საშარდესი 1½—2 საათამდე.

საღამოთი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი 5—6 საათამდე.

გ. მაღალაშვილი—კვირაობით, 10—12 ს-დე.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები და კრაოტები—მორიგებით. ერთი კრაოტი ღარიბთათვის უფასოა.

ადრესი: კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ). ტელეფონი № 274. (წლ·)

ქუთაისში, ვ. ბეჟანიშვილის მაღაზიაში, იყიდება გაზეთ „ცნობის ფურცლი“-ს ნომრები. ფასი თითო ნომრისა 3 კაპეიკი.

მთავრობის განკარგულებანი

მთავრობის განკარგულებით ქუთაისის გუბერნიის პოლიციის შემდეგნი დარაჯნი იქმნენ დაჯილდოვებულნი მენდლებით ზედ წარწერით „სიმამაცისათვის“: ოქროს მენდალი—ივანე წილოსანს, ვერცხლის მედლები—მერაბა გვალიას, ზაურბეკ ანჩაბაძეს, ელექტორ შალამბერიძეს, იოსებ ხუციშვილს, ეგნატე სტურუას, მარკოზ კობახიძეს, ანდრია ჩერკესოვს და ბარდღუ ბულისკერიას.

სურათებიანი დამატება

ვაწოდებთ-რა ჩვენს ხელის მომწერთა და მკითხველთ „ცნობის ფურცლის“ სურათებიან დამატების 1-ლ ნომერს, საჭიროდ ვრაცხთ ორიოდე სიტყვა მოვახსენოთ მათ ამ დამატების შესახებ.

ამ ჟამად ცოტაა გაზეთი, საზღვარ გარედ თუ რუსეთში, რომ სურათებიანი დამატებით არ გამოდიოდეს. სურათებს მარტო ის მნიშვნელობა-კი არა აქვთ, რომ თვალს ასიამოვნონ; სურათი უფრო მტკიცედ, უფრო ნათლად აღბეჭდავს მკითხველის გონებაში ამა თუ იმ საზოგადო ან საპოლიტიკო მოვლენას. სურათი ამ შემთხვევაში დახმარებას უწევს ბეჭდვითი სიტყვას და ხშირად იწნაირივე ძალა და მნიშვნელობა აქვს მას, როგორც ბეჭდვით სიტყვასა და ცოცხალ სიტყვას. ამიტომაცაა, რომ ბევრი დარბაისელი პოლიტიკური გაზეთი თავის მოვალეობად რაცხს სურათითაც ისარგებლოს თავის აზრების გამორკვევისა და პროპაგანდისათვის. ეს უფრო საჭიროა ისეთ განათლებულ ქვეყნებში, როგორც დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებია, სადაც საზოგადო ცხოვრება დუღს და გადმოდუღს, სადაც გამწვავებული პოლიტიკური და სოციალური ბრძოლაა. იქ სურათს არა მარტო ესტეტიური მნიშვნელობა აქვს, არამედ პოლიტიკურ იარაღადაც იხმარება.

ჩვენში საზოგადო ცხოვრება სუსტად არის განვითარებული, მაგრამ იმას ვერ ვიტყვით, რომ სურათებს სრულიად მნიშვნელობა არ ჰქონდეთ. ჩვენებურ მკითხველების უმეტესმა ნაწილმა არა იცის-რა უცხოელ ხელოვნებისა. ამიტომ კარგის ნაწარმოების გადახატვა ხელს შეუწყობს მათს ესტეტიურ განვითარებას. ხოლო უცხოელ პოლიტიკურ და საზოგადოებრივ მოღვაწეობის დასურათება გაუადვილებს მათ განათლებულ ქვეყნების ცხოვრების გაცნობას. არა ნაკლები მნიშვნელობა ექმნება აგრეთვე ჩვენებურ ცხოვრების დასურათებას.

ჩვენში ეს საქმე თითქმის სრულიად ახალია. ვამბობთ—თითქმის,—რადგანაც დღევანდლამდე ჩვენში არსებულ სურათებიან გაზეთებს არ შეეძლოთ სავსებით ესარგებლათ სურათებით, რომელნიც უთუოდ პეტერბურგში ან სხვაგან უნდა შეეკვეთნათ. ეხლა კი, როდესაც წიგნების გამომცემელ ქართველთა ამხანაგობამ საკუთარი ცინკოგრაფია გაიჩინა, ხსენებული უხერხული გარემოება თავიდან აცილებელი შეიქმნა. ეხლა ჩვენ შეგვიძლიან აქვე დავასურათოთ რაც გვინდა და ამ რიგად სავსებით ვისარგებლოთ მასალით, რომელსაც გვაძლევს როგორც ჩვენი, ისე რუსეთის და უცხოეთის ცხოვრება.

როგორც პირველი ნაბიჯი და ცდა, ჩვენი ახალი საქმე შეიძლება თავიდანვე ერ ექმნეს სასურველად აღსრულებული: საქმეს ბევრი ტეხნიკური გაჭირვება ახლავს და დიდი ხარჯიც; მაგრამ ჩვენ ყოველ ღონის-

ფელეტონი

დასავლეთ ევროპის დემოკრატიზმი.

როცა ყმაწვილი სიჭაბუკეს მიაღწევს, ცელქობა-ეშმაკობას თავს ანებებს და აზროვნობას იწყებს, მას ხშირად ემართება ერთი შესამჩნევი გარემოება: მისი თავი ივსება სხვა-და-სხვა ცნებებით და სიტყვებით, მისი გონება მოძრაობაშია და სულიერი ცხოვრება აღშფოთებული. ყმაწვილი სცდილობს ახლად შეძენილ სიტყვებს მისცეს თავისი შინაარსი, მხოლოდ შეძენილ სიტყვათა რიცხვი დიდია, აზრთა და ცნებათა საწყობი კი შედარებით ღარიბი. ამიტომაც მოზარდი ყმაწვილი ხშირად ხმარობს ძნელ-გამოსათქმელ, ლამაზ და მისგან გაუგებარ სიტყვებს, რის გამო მისი სჯაბაასი უფრო საიდუმლო სიტყვათა თამაშობას გვაგონებს, ვიდრე ნამდვილ მოფიქრებას, ნამდვილ აზრის ვარჯიშობას. საყურადღებოა ისიც, რომ ამგვარი ჭაბუკი ძრიელ გრძნობიერი და თავმოყვარეა. თუ არ მოუწონეთ აზრი, გაგიწყრებათ; თუ უცოდინარობა დასწამეთ, გაფიცხდებათ და თუ როგორმე შეამჩნევინეთ, რომ ჯერ კიდევ ნორჩია და ბევრი შრომა და მოფიქრება ესაჭიროება, გადაგემტერებათ და ქედ-მაღლურად ზურგს შეგაქცევთ. მხოლოდ, მიუხედავად ამისა, ამ გვარი სიყმაწვილე და ახალგაზდობა მაინც მომხიბლავია: მისი წყრომა წარმავალია და სიბოროტე—ზედაპირულია—ფესვებს არ იკეთებს გულში. სიავე ადვილად ექარწყლება, ტუჩებზე ღიმილი ებადება და მის თვალებშიაც ჰკითხულობთ შერიგების გრძნობას-სურვილსა.

მაგრამ არის სხვა-გვარი სიჭაბუკეც. სიტყვათა და ფრაზათა ტრფიალებასთან, თავმოწონებასთან და გაუზომელ სიმამაცესთან, იგი რაღაც გულჩაკეტილობას და შეკუმშულობას იჩენს. თუ გაგიწყრათ, აღარ შეგირიგდებათ, ჩაიხვევს გულში სიძულვილს და სამუდამოდ ნიშანში ამოგიღებთ. ამ გვარი ბოროტი და უმგზავსი სიჭაბუკე შეგხვდებათ ხოლმე ცხოვრებაში და უნდა ვსთქვათ, რომ ერთი ნაწილი ჩვენის საზოგადოებისა სწორედ ამ უმგზავს „ჭაბუკს“ გვაგონებს...

მაგრამ თავი დავანებოთ შედარებას. დემოკრატიაზე ვიწყებთ საუბარს და ჩვენდა დაუკითხავად მოგვადგნენ ზემოდ აღნიშნული აზრები შევუდგეთ საგნის გარკვევას. რა არის დემოკრატია და საიდან წარმოსდგა იგი.

როდესაც ევროპიული საზოგადოება წოდებებათ იყო დაყოფილი, ამ სხვა და სხვა წოდებებთ განსხვავებული იურიდიული და პოლიტიკური უფლებები ჰქონდათ მინიჭებული. მაღალ წოდებას (თავად-აზნაურობას, ფეოდალებს) ჰქონდა ხელში ის პოლიტიკური უპირატესობა, რომლის შემწეობითაც იგი იყო დანარჩენ ხალხზე გაბატონებული. განვლო დრომ და ცხოვრებაც შეიცვალა, შეირყა წოდებრივ წყობილების საძირკველი. საზოგადო ასპარეზზე გამოვიდა ახალი ელემენტი, რომელიც იკვლევდა ცხოვრების ბილიკს შრომით, ნიჭით და ცოდნით. ამ ახალმა ელემენტმა უარჰყო წოდებრივი უპირატესობა ფეოდალებისა და მოინდომა საზოგადოების აშენება სრულიად ახალ საფუძველზე—იურიდიულ და პოლიტიკურ თანასწორობაზე. ამერიკელ (პენსილვანიის რესპუბლიკის) და ფრანგულ «დეკლარაციებში“ ჰპოულობთ ახალ საზოგადოების სრულ პოლიტიკურ ფილოსოფიას. გადავსინჯოთ მოკლედ ეს ფილოსოფია.

ყოველ ადამიანს აქვს ბუნებრივი, თანშეზრდილი უფლებანი. ამ უფლებებს შეადგენს—თავისუფლება, საკუთრება, უზრუნველ-მყოფელობა (პირადი) და უფლება დაჩაგვრის წინააღმდეგ ბრძოლისა. მხოლოდ რა არის თავისუფლება? თავისუფლება, ვკითხულობთ „დეკლარაციაში“, იმგვარი მოქმედების უფლებაა, რაგვარი მოქმედებაც სხვას არ ავნებს (Declaration, art. 4). ვინ არის ის, ვინც სწყვეტს, ამის ჩადენა შეიძლება და იმისი კი არა? ამგვარ ადამიანის მოქმედების საზღვარს ადგენს კანონი“ (art. 4). კანონი სწყვეტს იმას, თუ რა ავნებს საზოგადოებას და რა არა. მხოლოდ, კითხვა იბადება, განა ყველა ეს ადამიანის თავისუფლების შემცირება-შევიწროება არ არის?

ამის პასუხად „დეკლარაციის“ მეექვსე თავში ვკითხულობთ: „კანონი საყოველთაო სურვილის გამოსახვაა“ (l'exprèssion de la volontè gènèrale). ეს წმინდა მეტაფიზიკური ცნება „საყოველთაო სურვილი“ იყო მიღებული, როგორც დოგმატი, და ახალ პოლიტიკურ სისტემის საფუძვლად დაიდო: კანონსა ჰქმნის მთელი ხალხი, იგი საყოველთაო სურვილის გამოსახვაა, მაშასადამე, უზენაესი უფლება (суверенитетъ) თვით ხალხშივე იმყოფება. ხალხი თავის წარმომადგენლის საშუალებით არის კანონის მდებელი. აქედამაა საყოველთაო საარჩევნო უფლების საჭიროება. ამ რიგად გამოირკვა არსებითი განსხვავება ძველს და ახალს წესწყობილებათა შორის.

ძიებას ვიხმართ თანდათან გავაუმჯობესოთ და გავადიდოთ ჩვენი სურათებიანი დამატება როგორც სურათების, ისე ტექსტის მხრითაც. მომავალ წლამდე დამატებას გამოვსცემთ არა სისტემატიურად, ხოლო ახალის წლიდან დამატება ყოველ კვირა დღეს გამოვა რეგულიარულად.

დეპეშები

(«რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან»)

10 აგვისტო.

პარიზი. დღეს მოხდება ლუბეს თავმჯდომარეობით მინისტრთა სხდომა, რომელსაც დელკასე წარუდგენს კონსტანტინეპოლიდან სულ უკანასკნელად მოსულ ცნობებს.

ჰფიქრობენ, რომ ტულონში მზად მდგომარე სამხედრო გემებს დღეს არ მიუღიათ ჯერ ბრძანება წავიდნენ ეგეის ზღვაში და ალყა შემოარტყან ამ ზღვის ერთ-ერთ კუნძულს.

ზოგიერთი გაზეთები ამტკიცებენ, დიპლომატიურ დამოკიდებულებათა შეწყვეტა ყველაზე უწინ სარგებლობას მოუტანს საფრანგეთში მცხოვრებ „ახალ-გაზდა“ ოსმალებს და სულთანის სხვა მოწინააღმდეგე ელემენტებს.

ოსმალეთის ელჩი ჯერ კიდევ შვეიცარიაშია; როდის დაბრუნდება ან თუ სულ დაბრუნდება, სრულებით არ იციან.

პორტ-არტური. ეგერმეისტერი ი. პ. ბალაშოვი შეუდგა მუდმივის სანატორიის შენობას ხელმწიფე იმპერატორის მიერ შემოწირულ ფულებით. იგი მიდის მაზამპოში და აქედან იაპონიაში საჭირო მასალის საყიდლად. ამ მინდობილების შესრულებას წელიწადზე ნაკლები არ დასჭირდება.

სკადოვსკი. ნება მიეცა სკადოვსკისა და თ. ტრუბეცკოის მოახდინონ სარკინისგზო გამოკვლევა სადგურ მიხაილოვსკიდან ნავთსადგურ სკადოვსკამდე.

(საღამოს დეპეშები იხილე მე-4 გვერდზე)

ჟურნალ-გაზეთებიდან

ინგლისი. ორი კვირის განმავლობაში დეპუტატთა პალატას ორჯერ მოუვიდა შეტაკება გაზეთებთან. ჯერ სამხედრო მინისტრ ბროდრიკსა და გაზ. «დეილი მაილ»-ს შუა ჩამოვარდა უსიამოვნება. ეს ხომ ვიცით. ეხლა კიდევ გაზ. «გლობ»-მა ირლანდიელ დეპუტატებს ცილი დასწამა და პალატამ თავის მოვალეობად ჩასთვალა თავის წევრებს გამოჰსარჩლებოდა. ეს საქმე პალატამ 2 აგვისტოს განიხილა. გაზ. «გლობ»-მა 25 ივლისს წერილი დაუბეჭდა და ამტკიცებდა, აუცილებლად საჭიროა ირლანდიელ დეპუტატთა რიცხვი შევამციროთო. გაზეთი ასე ასაბუთებდა თავის წერილს:

«არ გეგონოთ, რომ ირლანდიელების დასის უმეტესობა ნამდვილად გულწრფელად ირლანდიის ერის ბედისათვის ზრუნავდეს, ნამდვილად ამ დასს მარტო ანგარება ამოძრავებს და ამოქმედებს. ამ დასში ბევრი სულ უკანასკნელი კაცი ურევია და ერთად-ერთი სურვილი აქვს,—პოლიტიკური სპეკულიაციებითა და მოქრთამეობით რაც შეიძლება მეტი შეიძინოს. ვისაც კი ირლანდიელ დეპუტატებთან საქმე ჰქონია და მათი კერძო კანონ-პროექტები გაუცვნია, დაგვეთანხმება, რომ სწორეს ვამბობთ. ამიტომ ირლანდია არაფერს არ იზარალებს, ეს წურბელები რომ ცოტა შევამციროთო».

ირლანდიელების მეთაურმა რედმონდმა ამ წერილის თაობაზე ილაპარაკა პალატაში და სთქვა: თუ პალატა ამისთანა ბრალდებას დაუსჯელად დასტოვებს, საზოგადოება აღარ ენდობა იმ კომიტეტებს, რა კომიტეტებიც კერძო კანონ-პროექტებს იხილვენო (კერძო კანონ-პროექტი სახელმწიფო საქმეებს კი არა, კერძო ადგილობრივ ინტერესებს შეეხება, მაგალითად, რკინის გზების კონცესსიებს და სხვ.); პალატას ესმის, რომ ამ წერილმა მთლად დაამხო პარლამენტის პრივილეგიაო.

სამინისტრო დასის წინამძღოლმა ბალფურმა სთქვა, რედმონდის წინადადება უნდა მივიღოთ, მაგრამ დასჯით კი ნუ დავსჯით გაზეთსაო. სამინისტროს დასის წინამძღოლმა დაუმატა: «ვერც კი წარმომიდგენია იმაზე საწყენი წერილი, როგორიც «გლობ»-ის წერილია. ბალფურის აზრით, «გლობ»-ის ბრალდება ნამდვილი ცოცხალი ტყუილია. დიდი დავა, დიდი უთანხმოება გვქონია ყოველთვის ირლანდიელებთან, მაგრამ ჯერ არავის არ გაუბედნია და არ უკადრნია იმისი თქმა, რომ ირლანდიელი დეპუტატები ქრთამის აღები და სულ-გაყიდული ხალხიაო.

შემდეგ ბალფურმა იმაზე ჩამოაგდო ლაპარაკი, თუ როგორ უნდა მოიქცეს ამ საქმეში პალატაო:

«პატივცემული ბატონი რედმონდი ჰფიქრობს, «გლობ»-ის რედაქტორი რომ პალატაში დავიბაროთ, ბოდიში მოვახდევინოთ და პარლამენტის დახურვამდე ციხეში გავგზავნოთ, ამით ჩვენ სახელს აღვადგენთ როგორც შინ, ისე გარეთ, უცხოეთშიო. მაგრამ ცხადია, ეს სწორე აზრი არაა. ჩვენი სახელის აღდგენა მარტო პირუთვნელ სასამართლოს შეუძლიან. «გლობ»-ის რედაქტორმაც თავისი საბუთები უნდა წარუდგინოს ამ სასამართლოს და ირლანდიელებმაც თავიანთ გასამართლებელი საბუთები. მაგრამ ჩვენ თითონ რომ გადავწყვიტოთ ესა და ეს კაცი პალატაში დავიბაროთ, ბოდიში მოვახდევინოთ და ციხეში გავგზავნოთო,—ამისთანა გადაწყვეტილება ვერავის ვერ გაამართლებს. უმეცარი, რაც კი საქმეს კრიტიკულად არ არჩევს, რაც ბრალდებასა და თავის გამართლებას არ არკვევს,—ვერც ამ ბრალდებასა სპობს და ვერც ბრალდებულს ამართლებსო». ორატორი ჰფიქრობს, ეს წესი დამკვიდრებული წესია, საჭიროა პალატამ ცალკე კომისია დანიშნოს და დაავალოს ისეთი საშუალება აღმოაჩინოს, რომ პალატას პრესსის კიცხვისა და ლანძღვისაგან თავის დაცვა შეეძლოსო.

პალატამ მაინც ერთხმად დაადგინა, გაზეთმა «გლობ»-მა პალატის პრივილეგია დაარღვიაო; ამავე დროს ბალფურის რჩევა არაფრად ჩააგდო და გადაწყვიტა «გლობ»-ის რედაქტორი 3 აგვისტოს (ახ. სტ.) ამ საქმეზე დაიბაროს.

✡ ამ ბოლოს დროს ინგლისში რამდენიმე მანიფესტაცია მოუხდენიათ ბურების სასარგებლოდ. ყველაზე მნიშვნელოვანი კრება სოციალ-დემოკრატების ფედერაციის საბჭომ გამართა ამ კრებას მრავალი ხალხი დაესწრო და ერთ ხმად პროტესტი გამოაცხადა ლორდ კიტჩინერის ახალი პროკლამაციის წინააღმდეგ: პროკლამაცია სამხედრო კანონებს ეწინააღმდეგებაო. სოციალ-დემოკრატებმა გამოაცხადეს: სამხრეთ-აფრიკის ომი ოქროს მძებნელმა ფინანსისტებმა ატეხეს; ინგლისის დიდებულ თავისუფალ ერს ჯერ სულ არ ეკადრებოდა თავისუფალ რესპუბლიკებთან ბრძოლა და კიტჩინერის პროკლამაცია ხომ სულ უკანასკნელობააო. სოციალისტები თხოულობენ: პროკლამაციის მუხლი, სადაც სწერია, რომ ბურების სარდლები სამხრეთ-აფრიკიდან განიდევნებიან—ეხლავე გაუქმდესო. დასასრულ სოციალისტები მეტად მკაცრად ჰკიცხავენ ინგლისის მთავრობას: სულ სახელი გაუტეხა და მთელ ქვეყნიერობაზე დაამცირა ინგლისის ერიო.

დიდი კრება მოუხდენია აგრეთვე ომის მოსასპობად დაარსებულ საზოგადოებასაც. კრებამ ერთხმად დაადგინა: ჩვენი მთავრობა უკანონოდ გაერია სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკების საქმეში და ომის დროს ჰააგის კონფერენციის დადგენილებანი დაარღვიაო. დასასრულ კრებამ გამოაცხადა, ბურებს უსათუოდ სრული დამოუკიდებლობა უნდა მიეცესო.

ავსტრ-უნგრეთი. უნგრეთის მებატონეებს, როგორც ეტყობა, კეთილის თვალით შეუხედნიათ გერმანიის ახალ სადამოჟნო ტარიფისათვის. შომოლდში უნგრელი მებატონეების საზოგადოებას დაუდგენია: «ჩვენ არ გვწადიან, გერმანიის იმპერიასთან სადამოჟნო ომი დაიწყოთ, საჭიროდ ვსთვლით მარტო იმას, რომ ახალ სავაჭრო ხელშეკრულობით მეტი შედავათი მიეცეს ჩვენი სოფლის მეურნეობის იმ ნაწარმოებს, რა ნაწარმოებიც გერმანიაში გააქვთ. ამაზე უფრო საჭიროდ ის მიგვაჩნია, რომ ჩვენს აღმოსავლეთ საზღვარზე ისეთივე დიდი ბაჟები დავაწესოთ, როგორიც გერმანიამ დანიშნაო». «ბერლინერ ტაგებლატი» იუწყება: შომოლდის მებატონეებს გამოუცხადებიათ: თუ ავსტრია ბაჟების მომატებას არ დასთანხმდება, მაშინ მოვითხოვთ, რომ ავსტრიიდან უნგრეთში შემოტანილ საქონელსაც ბაჟები დაედოსო.

✡ გალიციაში, ქალ. ლვოვის სასამართლომ ამ დღეებში მუშების საქმე განიხილა. როგორც ვიცით, ქალ. ლვოვში წელს 29 და 30 აპრილს და 2 მაისს (ახ. სტ.) უსაქმო მუშებმა დიდი არეულობა მოახდინეს. ლვოვის გაზეთი «დელო» იუწყება, სასამართლომ გაამტყუნა მუშები. სასამართლოს განაჩენის ძალით, 22 მუშას ციხეში დაპატიმრება მიესაჯა, ზოგს 14 დღის ვადით, ზოგს მეტით და სულ დიდი სასჯელი—8 თვის ვადით დაპატიმრება იყო. საწამ მოსამართლეები ამ საქმეს არჩევდნენ და გაკვირვებით ისმენდნენ, თუ რა საზარელ და გამოუთქმელ სიღარიბეში ყოფილა ჩავარდნილი მუშა ხალხი,—ამ დროს აქვე, ლვოვის ახლო ლვოვ-სამბორის ახალ რკინის გზაზე, მუშებმა ხელ-ახლად მოახდინეს უწესოება. მუშებს თურმე ნარდად ამუშავებდნენ. ნარდი მუშაობა კი ხელს არ აძლევდათ და ამიტომ ამ წესის გაუქმება მოითხოვეს. უფროსებმა უარი უთხრეს და გაჯავრებული მუშები გაიფიცნენ და მუშაობა აღკვეთეს; ბოლოს თურმე დიდი შფოთიც მოახდინეს. პირველ წამს გაფიცული მუშები ისე აღელდნენ, რომ ყველა სამუშაო იარაღი მოამტვრ-მოამტვრიეს. მერე, როცა მუშების ერთმა ნაწილმა გაფიცვაზე უარი თქვა, დანარჩენი ხალხი დაეცა და ნამდვილი ბრძოლა დაუწყეს. მთავრობამ წესიერება აღადგინა, მაგრამ, ვინ იცის, დიდის ხნით აღადგინა?

ფრანგული „დეკლარაციის“ შემქნელი იყო ბურჟუაზია. ამ ბურჟუაზიამ დაჰბადა იმგვარი პოლიტიკური სისტემა, რომლიდამაც წარმოსდგა, სხვათა შორის, ორ-გვარი მიმართულება: ბურჟუაზიული დემოკრატიზმი და სოციალური დემოკრატიზმი. ეს უკანასკნელი შეიქნა ლოღიკური დასკვნა ბურჟუაზიული დემოკრატიზმისა, განსაკუთრებით, „დეკლარაციაში“ გამოთქმულ პოლიტიკურ ფილოსოფიისა.

ბურჟუაზიულ დემოკრატიზმის თეორეტიკოსები უპირატესს მნიშვნელობას აძლევენ პოლიტიკურ უფლებათა გათანასწორებას, უზენაესის უფლების ხალხში დამყარებას და საყოველთაო საარჩევანო უფლების გამტკიცებას. ტოკვილი დემოკრატიულ საზოგადოების შუაგულში ეძებს თავისუფლებას. ლამარტინი ხალხის პოლიტიკურ უპირატესობის გამტკიცებას სცდილობდა. «ყოველი ახალგაზრდა ფრანგი პოლიტიკოსი—მოქალაქეა, ამბობდა იგი. ყოველი მოქალაქე ამომრჩეველია. ყოველი ამომრჩეველი ხელმწიფეა. თანაბარი და აბსოლიუტური უფლებანი ყველასთვის. ვერც ერთი მოქალაქე მეორეს ვერ ეტყვის: შენ მეტი უფლება გაქვს, ვიდრე მე». *)

ამ მწერლების განმარტებით, სახელმწიფოს, რომელიც იგივე ხალხის უფლებათა გამოსახვაა, ცხოვრებაში ჩარევის უფლება აქვს თანასწორობის და სიმართლის აღსადგენად. მხოლოდ ამ ჩარევას აქვს თავისი საზღვარი. სახელმწიფო არის საშუალება, მიზანი კი ადამიანია თავისი ზნეობა-გონებით და კეთილ-დღეობით. „ადამიანთა ცხოვრებაში სახელმწიფოში ჩარევა, ამბობს ვაშრო, მხოლოდ იმითი გამართლდება, როდესაც უამისოდ ადამიანთა უფლებებს რაიმე განსაცდელი მოელის. და ამგვარი ჩარევა უკანონოდ ჩაითვლება იმ შემთხვევაში, როდესაც ამითი ვისიმე უფლება ირღვევა“. **)

ასე რომ ბურჟუაზიული დემოკრატიზმი ტოკვილის, ლამარტინის და ვაშროს განმარტებით, უპირატეს ყურადღებას აძლევს იურიდიულ უთანასწორობის გაუქმებას და პოლიტიკურ უფლებათა ხალხში გადმოტანა-დამყარებას. მათ არავითარი ყურადღება არ მიაქციეს ეკონომიურ უთანასწორობის მიზეზს, უკეთ ვსთქვათ, ამ უთანასწორობის მიზეზს იმაში არ ეძებდნენ, საცა იყო საჭირო. სწორედ მან, რაც ბურჟუაზიულმა დემოკრატიზმმა უყურადღებოდ დააგდო, დაჰბადა ახალი სოციალ-დემოკრატიული მიმართულება. სოციალ-დემოკრატიზმი იყო, პროფესსორ ოლარის სიტყვით, ლოღიკური განმარტება ბურჟუაზიულ დემოკრატიზმისა. „დემოკრატიული და სოციალური რესპუბლიკა, ამბობს ოლარი, ჩართულია „უფლებათა დეკლარაციაში“, რომლის პრინციპები აქამდი არ არიან განხორციელებულნი .. ოლარს ბურჟუაზიულ დეკლარაციიდამ გამოჰყავს სოციალურ თანასწორობის აზრის განვითარება.

მართლაც, რასა ნიშნავს „დეკლარაციის“ პირველი მუხლი, საცა ვკითხულობთ: ადამიანი თავისუფალ კაცად იბადება და თავისუფლადვე სცხოვრობს. ყოველ ადამიანს აქვს თანაბარი უფლებანი“? ამ მუხლის აზრი იმაშია, ამბობს ოლარი, რომ უსამართლო იქნებოდა ბუნებრივ უთანასწორობას მიუმატოთ კიდევ იმგვარი დაწესებულებანიც, რომელნიც ხელოვნურადაც შეჰქმნიდნენ ახალ უთანასწორობას. ერთი კაცი ღონითაც და გონიერებითაც სხვასა სჯობია. განა სამართალია, რომ ამ კაცს ფულიც ჰქონდეს, მამულიც და ამათ საშუალებით გაორკეცოს თავის ცხოვრებაში საბრძოლველი ძალ-ღონე? განა სამართალია, როცა სულელი და ბოროტი კაცი დიდ მემკვიდრეობას იმტკიცებს და მით თავის სისულელეს და სიბოროტეს უფრო მავნებლად ხდის. განა სამართალია, რომ კანონის ძალით ერთი დაბადებისათანავე მდიდარი იყოს, მეორე ღარიბი... იმ ბურჟუას, ესე იგი იმ კაცს, რომელიც დაბადებისავე იმკვიდრებს ეკონომიურ და პოლიტიკურ უპირატესობას, ხალხი 1792 წ. ართმევს თავისს პოლიტიკურ პრივილეგიას. განა ლოღიკასთან ახლო არ არის, წაართვას ხალხმა ამ კაცს მისი ეკონომიური პრივილეგიაც?*).

ამგვარად გამოირკვა აზრი ეკონომიურ უთანასწორობის გაუქმებისა და აი აქედან წარმოდგა სოციალური მიმართულება დემოკრატიზმისა.

ამ მიმართულების განვითარებას ხელი შეუწყო ეკონომიურ ნიადაგზე წარმოშობილ კლასთა ბრძოლამ. ევროპა-ამერიკაში, დაახლოვებით, ერთი და იგივე მოვლენა აღმოჩნდა. ყველგან, დამოუკიდებელ სახელმწიფოების ცხოვრებაში განსაკუთრებით, გამოაშკარავდა ეკონომიურ ინტერესთა წინააღმდეგობა. და ამ გარემოებამ დაარღვია ნაციონალური და სახელმწიფური საზღვრები—ბურჟუაზია ერთის ხალხისა დაუახლოვდა მეორე ხალხის ბურჟუაზიას, ასეთივე დაახლოვება მოახდინა მუშა ხალხმა. ეს დაახლოვების პროცესსი ეხლა ხან დაიწყო და იგი არ დამთავრებულა, მხოლოდ მისი დამთავრება აუცილებელია. აქედან დაიბადა თანამედროვე ინტერნაციონალიზმი.

ამ რიგად ჩვენ ვნახეთ, რომ ბურჟუაზიულმა დემოკრატიზმმა (პოლიტიკურ უთანასწორობის გაუქმება) მოუმზადა ნიადაგი სოციალურ დემოკრატიზმს (ეკონომიურ უთანასწორობის გაუქმება). და სოციალურ დემოკრატიზმმა წარმოშობა ერთაშორისი კავშირი, ინტერნაციონალიზმი.

მაშასადამე, ლოღიკური დასკვნა დემოკრატიზმისა ეროვნულ საზღვრების დარღვევა და გაუქმება ყოფილა და თუ მართალია ის აზრი, ვითომ დემოკრატია, პოლიტიკური ფორმაა ლიბერალიზმისა, არა ნაკლებ მართალია მეორე აზრიც, რომ დემოკრატია, უკანასკნელ დასკვნამდე მოყვანილი, გაუქმებაა კლასთა ბრძოლისა და ამიტომ აუცილებელი ფორმაა საერთაშორისო ცხოვრებისა. ამას გვასწავლის ევროპა: ასეა საქმე იქ.

არჩილ ჯორჯაძე.

---

*) La France parlementaire.

**) La Démocratie.

*) Histoire politique de la révolution fransaise—Aulard.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გერმანია. დეპეშებიდან ვიცით, რომ გერმანიისა და სხვა სახელმწიფოთა ჯარების მთავარ სარდალი გრაფი ვალდერზეე ჩინეთიდან შინ დაბრუნდა. სანამ ჩინეთიდან გერმანიაში მოვიდოდა, იმოგზაურა გზაზე, სადაც კი შეიძლებოდა, გრაფი ყველგან ლაპარაკს მოჰყვებოდა და სულ თავის თავსა და თავის ხელ-ქვეით ჯარებს აქებდა. შინ, გერმანიაში ხომ საქმე გააშკარა და ყველგან უადგილო ადგილას ლაპარაკობს, სწორედ რომ უბედად გადაიქცა. «ნაციონალ ცაიტუნგა»-ი ამბობს ამის თაობაზე: «1866 და 1870 წლებში ჩვენმა ჯარებმა მძლავრ ავსტრიაზე და საფრანგეთზე გაიმარჯვეს, ჩვენი მაშინდელი სარდლები ნამდვილის სამხედრო ღირსებით შეიმოსნენ, მაგრამ იმათ ყველას ერთად იმდენი არ ულაპარაკნიათ თავიანთ გამარჯვებაზე, რამდენსაც გრაფი ვალდერზეე—ასეც ყოველთვის საჯაროდ, ჩინეთში გამარჯვებას ტრაბახობს. განა ჩინელებთან ომი-ომი იყო? ომი კი არა, ჩინეთში ნამდვილი ყასაბხანა იყო გამართული და უცხოეთის ჯარები ისე ჰხოცდნენ და ჰბადთავდნენ ჩინელებს, როგორც ყასაბი ცხვარს ჰხოცავს. გრაფმა სწორედ თავი მოგვაძულა ლაპარაკით, იმედი გვაქვს, ეხლა მაინც გაჩუმდება და თითონაც მოისვენებს და სხვასაც მოასვენებს. არა გვგონია ვინმე დაემდუროს გრაფს, ამას იქით თუნდ სულაც ხმა აღარ ამოიღოს. ვფიქრობთ, რომ გრაფსაც ეყო ამდენი ლაპარაკი და კვეხნა დამსმენელებსაც».

სამხრეთ-აფრიკა. «თავში რას სცემ სპილოსა, დაბლა შემოჰკარ რბილოსა!»,—ურჩევდნენ ამირანს, როცა დევს ებრძოდა. ასე ურჩევენ ახლა ბურებსაც. ამერიკელები, ჰოლანდიელები, ფრანგები და ბურების სხვა მეგობრები დიდი ხანია სთხოვენ პრეზიდენტ კრიუგერს, ნება მოგვეცი ინგლისის წინააღმდეგ ზღვაში უსწორო ომი გავმართოთო. ყოველ მეომარ სახელმწიფოს ნება აქვს, თავისი მტრის სავაჭრო საქონლის გემებსა და ხომალდებს ზღვაში დაეცეს, გაძარცვოს და დაღუპოს. ისე ვერას გაჰხდებით ინგლისთან, ზღვაშია მისი „რბილო“ ადგილი, და აქ უნდა შემოჰკრათ ამ მძლავრს დევს, თუ გინდათ, რომ ნამდვილად გული დასწყვიტოთ და ჭკუაზე მოიყვანოთო. მართალია, ბურებს თითონ ერთი ნავიც არა აქვთ, მაგრამ ჩვენ, თქვენს მეგობრებს მოგვანდეთ ეგ საქმე და ჩვენ ვიცით, რა ცხელ დღესაც დავაყენებთ და მწარედ-უწყალოდ ავატირებთ ამ ჩვენი დროის, ცოტა არ იყოს, უსამართლო დევსაო. კრიუგერი დიდ უარზე იდგა აქამდე, ინგლისის გამწვავებას ერიდებოდა. ეხლა კი, როგორც გაზ. «მატენ»-ი იუწყება, პრეზიდენტს გადაუწყვეტია მისცეს ამნაირი ნება-რთვა. ნება-რთვა ვითომ დაუწერიათ კიდეც, კრიუგერი მალე ხელს მოაწერს და ერთ კაცს მიანდობს ამ უსწორო ბრძოლის მოწყობას და გამართვასაო. ამ კაცის სახელი ჯერ არავინ იცის, ბურების მთავრობის გარდა.

✡ «დეილი მაილ»-ი იუწყება: გენერალ ბოტას გამოუცხადებია, თუ კიტჩენერი ახალ პროკლამაციით შემოთვლილ მუქარას მართლაც აღსრულებაში მოიყვანს, მეც ჩემის მხრივ ბრძანებას მივცემ, რომ ბურებმა ყოველი ინგლისელი ტყვე ულაპარაკოდ თოფით დახვრიტონო. ბოტას უთქვამს: ინგლისელებს ნუ ავიწყდებათ, რომ ჩვენც მიგვყავს ხოლმე ცოტ-ცოტა ტყვე, ჩვენც ვიმარჯვებთ ხოლმე ათასში ერთხელაო.

ოსმალეთი ყველას თავისი დარდი აქვს. ახლანდელ მოუსვენარ დროში უდარდო არავინ არის. ოსმალეთის მთავრობასაც არ აკლია მწუხარება. სწორედ საქმე გაუჭირა ახალგაზრდა ოსმალების დასმა, ლამის „ხონთქარი დასძრას ტახტზედა“. როგორც დეპეშებიდან ვიცით, ამას წინად ხონთქრის საწოლ ოთახისათვის ცეცხლი წაეკიდებინათ. აბა რაღა ჩიჩინი უნდა, ამის თაობაზე ფიცხელი გამოძიება დაინიშნა. გამოჩნდა, რომ ხონთქრის წინააღმდეგ ხსენებულ დასს მთელი შეთქმულობა გაუმართავს. ამ საქმეზე 700 კაცი დაუტუსაღებია მთავრობას და იმათ შორის, არაბეთში გაუგზავნია დასაკარგავად.

ახალი ამბავი

✦ გუშინ, 11 აგვისტოს საღამოს 8 საათსა და 50 წუთზე, საქართველოს სამხედრო გზით ტფილისში ჩამოვიდა დიდი მთავარი ნიკოლოზ ნიკოლოზისძე. აქედან დიდი მთავარი პირდაპირ გუმბრისაკენ გაემგზავრა. სადგურ მცხეთაში მის უმაღლესობას მიეგებნენ ტფილისის სამხედრო და სამოქალაქო უწყების უფროსნი მოხელენი. მისი უმაღლესობა გუმბრიდან დაბრუნდება სამშაბათს ბორჯომში, ხოლო ბორჯომიდან, მცხეთაში და ისევ საქართველოს სამხედრო გზით რუსეთში წარბძანდება 17 აგვისტოს.

✦ პეტერბურგიდან იტყობინებიან, რომ შემოდგომაზე ამიერ კავკასიაში ჩამოვა საერო განათლების მინისტრი გენერალ-ადიუტანტი ვანოვსკი.

✦ გუშინ წინ, საღამოს ექვს საათზე, კავკასიის მთავარმართებლის თანაშემწემ გენერალ ლეიტენანტმა ა. ა. ფრეზემ ინახულა გამოფენის ადგილი. შესასვლელ კარებთან მას მიეგებნენ მთავარ-მართებლის საბჭოს წევრი სულთან კრიმ-გირეი, გუბერნიის მმართველი ალიშევსკი, სამეურნეო ინსპექტორი გეევსკი, გამოფენის კომისარი ი. ანდრონიკაშვილი და სხვა-და-სხვა განყოფილების გამგენი. ბ. ფრეზემ დაათვალიერა უმთავრესი პავილიონი, გამოფენის თეატრი და კერძო პავილიონებიც.

✦ როგორც გვატყობინებენ, საქართველოს სასულიერო მთავრობას წარუდგენია უწმინდეს სინოდში მოსაზრება იმის შესახებ, რომ საქართველოს საექსარხოსოში სამრევლო სკოლების მართვა-გამგეობა მოთავსებულ იქმნეს ერთის კაცის ხელში; ამისათვის დაყენებულ იქმნება სამრევლო სკოლების ინსპექტორი, რომლის განკარგულებით აღასრულებენ ეხლანდელ სამრევლო სკოლებში ზედამხედველების ნაცვლად ინსპექტორის თანაშემწენი; ინსპექტორს ამ მოსაზრებით იმდენი თანაშემწე ეყოლება, რამდენიც ეპარქიაა საქართველოში.

✦ თიანეთიდგან გვატყობინებენ, რომ ბაქოს ნავთის მრეწველთ ბრუშევიჩს, შახნაზაროვსა და მელიქოვს თიანეთის მაზრაში, თავ. მიხეილ ჩოლოყაშვილის მამულში ნავთის წყაროების ნამდვილი ნიშნები აღმოუჩენიათ და უკვე შესდგომიან მუშაობას.

✦ ქუთაისის გუბერნიაში საქონლის ჭირი გაძლიერებულა და ამიტომ ხსენებულ გუბერნიის ადმინისტრაცია შუამდგომლობს, რომ გაგზავნონ ჭირთან საბრძოლველად არა ნაკლებ ხუთის ბეითალისა.

✦ საქონლის ჭირთან საბრძოლველად ტფილისის გუბერნიის მმართველის განკარგულებაშია 10,000 მანეთი.

✦ პარასკევს, 10 აგვისტოს, პოლიციის მე 8 ნაწილში, გონჩარნი ქუჩაზე შემდეგი მკვლელობა მოხდა: აღნიშნულ ქუჩაზედ ჯოვანის სახლში სცხოვრებდა ტფილისის მაზრის სოფ. კუმისის მცხოვრები მაკა მაზინოვისა. მასთან ნაშუადღევის $4\frac{1}{2}$ საათზედ შესულა მისი საყვარელი ავჭალის მცხოვრები ნიკოლოზ მიხეილის ძე ვარგანაშვილი, მათ რაღაცაზე მოსვლიათ ჩხუბი, ვარგანაშვილს დაუკრავს დანა მაკასათვის და იქვე მოუკლავს. შემდეგ მას თავის მოკვლაც განუზრახავს და ღრმად ჩაუცია მუცელში დანა; ვარგანაშვილი დაჭრილ-დარეტიანებული მაინც ცდილა სადმე დამალულიყო და გამოსულა კარში, მაგრამ, მიუხწევია თუ არა სახლის ეზოს კარებამდე, ჭრილობისაგან მეტად დაუძლურებულა და წაქცეულა. დაჭრილი ვარგანაშვილი მიხეილის საავადმყოფოში გაგზავნეს. მკვლელი თურმე ხელობით ქურდია. ამას წინათ იგი ჩამოვიდა ბაქოდან და თან ექვსასი მანეთი ჩამოიტანა. ეს ფული თავის საყვარელთან ერთად ქეიფში გაუფლანგავს. ეს რამდენიმე ხანია ვარგანაშვილს შეემჩნია, რომ საყვარელი ღალატობს და ხშირად ეჩხუბებოდა თურმე მას. ამ ბოლოს დროს მკვლელი სრულებით დარწმუნებულა, რომ ქალი მას ღალატობს და რამდენჯერმე დანით მივარდნია მოსაკვლავად მას და თავის მეტოქეს, მაგრამ განზრახვა სისრულეში ვერ მოეყვანა; გუშინ წინ კი შეესრულებინა რაც უნდოდა. ვარგანაშვილის ჭრილობა, ექიმების შემოწმებით, სასიკვდილოა.

✦ ტფილისის გუბერნატორმა მისწერა კავკასიის სამეურნეო სამრეწველო გამოფენის კომისარს თავ. ანდრონიკაშვილს, რომ განსაკუთრებულ კომისიისაგან 4 აგვისტოს კავკასიის გამოფენის პავილიონების დათვალიერების ოქმი სისრულით იქმნეს აღსრულებული გამოფენის გამგე კომიტეტისაგანო.

✦ კავკასიის სამეურნეო სამრეწველო გამოფენის სამეცნიერო-სასტატისტიკო განყოფილების ექსპერტებად დაინიშნენ ქიმიკოსი გ. ვ. სტრუვე, მედიცინის დოქტორი ტ. ი. რუდენკო და ნიკ. ევგ. შიშევსკი.

✦ კავკასიის გამოფენის მეღვინე-მევენახეობის განყოფილებაში ექსპონატების გამოგზავნა შეუძლიანთ მსურველთ 20 აგვისტომდე.

✦ კავკასიის გამოფენაში მონაწილეობის მისაღებად განცხადებანი წარადგინეს გ. მ. მოსეშვილმა ქუთაისიდან, გურიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების „შუამავლის“ გამგეობამ, ი. წერეთელმა ჭიათურიდან, ლანჩხუთის 2 კლასიან სკოლის გამგემ და სხვათა.

✦ გზათა სამინისტროს განზრახვა აქვს პირველ-დაწყებით და დაბალ-სკოლების მასწავლებლებისთვის შეღავათიანი ტარიფი შემოიღოს, განსაკუთრებით იმ დროს, როცა სხვა-და-სხვა მასწავლებლებისათვის საინტერესო და სასარგებლო კრებები იმართება.

✦ საექიმო დეპარტამენტმა ცირკულიარით წინადადება მისცა სხვათა შორის კავკასიის საექიმო სამმართველოსაც, წარმოადგინოს თავისი მოსაზრებანი მინერალურ წყლების ქარხნების გახსნის რეგლამენტის შედგენაზე.

✦ ნავთის მწარმოებლების ქ. ბაქოსა და „შავ ქალაქის“ პავილიონების ამშენებელმა იაკუბოვიჩმა ხსენებული პავილიონები დააზღვევა 15,000 მანეთად. დღეიდან შეუდგებიან ხსენებულ პანორამაში სურათების დადგმას.

✦ ტფილისში ჩამოვიდა ბორჩალოს სოფლის ექიმი, მედიცინის დოქტორი იმნამე.

✦ ტფილისში ჩამოვიდნენ გენერალი კონსული ბაქოში ი. კ. შტროუა და ბაქოს კარანტინის დირექტორი როდიონოვი.

✦ 20 აგვისტოდან ამიერ კავკასიის რკინის გზის სადგურ ბათუმსა და ნატანებ შუა სახალხო მატარებლები № 9 და 10 შეცვლილ იქმნებიან მე-13 და 14 №-ბით და ამიტომაც ამ დროიდან შეიცვლება აღნიშნულ სადგურებს შუა მატარებლების მიმოსვლა.

✦ ს. ახალგორისა (დუშეთის მაზრა) და ახლო მდებარე სოფლების მცხოვრებნი უჩივიან ახალგორის ქსენონის ექიმს ტერნიკოგოსოვს. ხსენებული ექიმი ერთობ გვიან აღებს თურმე საავათმყოფოს, გარდა ამისა, რადგან გლეხები ღარიბები არიან, არ შეუძლიანთ დიდი საფასე გადაიხადონ და ამიტომ ისინი მოკლებულნი არიან საჭიროების დროს ექიმის დახმარებას.

✦ ამას წინად, როგორც გვქონდა აღნიშნული, კავკასიის გამოფენის კომისარმა სთხოვა ტფილისის ცხენის რკინის გზის სამმართველოს რამდენიმე უფასო ბილეთი გამოფენის პიუროში მოსამსახურე პირთათვის; გზის დირექტორმა გუშინ გამოფენის კომისარს 4 უფასო ბილეთი გაუგზავნა. ამ ბილეთებს ვადა 1 ნოემბრამდე ექნებათ.

✦ ტფილისის საგუბერნიო სამმართველომ გუშინ წინდადება მისცა ტფილისის ქალაქის გამგეობას შეადგინოს და წარუდგინოს ხარჯთ-აღრიცხვა ტფილისის საგუბერნიო საპატიმროში მეორე წყლის მილის გაყვანისა.

✦ გუმბრის ციხის კომენდანტი შუამდგომლობს ხსენებულ ციხის ელექტრონით განათებაზე.

✦ პოლიციის მე-7 ნაწილში წმ. გიორგის სომეხ-გრიგორიანთა ეკლესიის ეზოში ჩამოინგრა კედელი.

წერილი რედაქციის მიმართ

ბატონო რედაქტორო! ვერ აგვიხსნით, რითი მოუვიდა აკაკის ალაპქელეხების უკულმართი გამოსარჩლება? ვაი, თუ ვისიმე მტრობით! ბევრი აკაკი არა გვყავს და ამ ერთის დაკარგვა ძლიერ სამძიმოა. იქნება, რაიმე გასამართლებელი საბუთი მოუპოვოთ ვინმემ და მით დაგვიბრუნოთ სათაყვანებელი კაცი. ეგ მით უფრო საჭიროა, რომ რწმენა არ დავკარგოთ ქართველ მოღვაწეებზე. თუ აკაკიმ ეს ჩაიდინა, სხვებისაგან რაღას უნდა მოველოდეთ?

უთუოდ ვაზვიადებ „ივერიის“ მე-161 №-ში აკაკის წერილის მნიშვნელობას, მაგრამ მე ისე მომივიდა, როგორც მოუდის ყმაწვილობიდან სარწმუნოებაში აღზრდილს და ძლიერ მორწმუნე კაცს, როცა მას დააჯერებენ—არა რაისაგან ხარ გაჩენილი და არა რათ იქცევიო. როგორც ის ვერ ინელებს ამ აზრის შეთვისებას და გაიძახის გულში: „რაღად ღირს სიცოცხლეო?“ და ხშირად კიდეც სპობს სიცოცხლეს, მეც ვამბობ—ნუ თუ ღირს ამის შემდეგ ქართველობა? რად დავიბადე ასეთის უბედური ერისაგან?

იოსებ მესხი.

P. S. ამ წერილის დაბეჭდვას არა გთხოვთ, მაგრამ კარგი იქნება მართლაც, რომ აგვიხსნა თ. აკაკის საქციელი. რა ვიფიქროთ ამის შემდეგ აკაკიზე. თუ მან, ზოგიერთების გავლენით, ყოვლად სამღვდელო ლეონიდზე ის თავის რწმენის წინააღმდეგი წერილი დასწერა. თავისს რწმენის წინააღმდეგი ვამბობ მე, რადგან არ შეიძლება, არ იცოდეს ჩემზე კარგად, რამ უფრო შეუწყო ხელი ჩვენს გალატაკებას! მამა ჩემს ოკრიბაში მეორე ადგილი ეჭირა სიმდიდრის მხრით; მაგრამ ვინც მოუკვდა, მის დასამარხად, სატირლად ალაპებზე ადგილებს ჰყიდდა, რადგან სხვა სახსარი არ იყო, რომ დაეკმაყოფილებინა ჩვეულების მოთხოვნილება. ახლა მე, ამ შედარებით მდიდრის შვილი, იძულებული ვარ სამ თუმნად ვიმსახურო, რადგან მამული აღარ მაქვს და არც არაფერი ხელობა ვიცი. ვინც პირველი იყო, არც იმის შვილები არიან ჩემზე უკეთესს მდგომარეობაში.

ი. მ.

პროვინცია

ფოთი. კარგა ხანია მას შემდეგ, რაც ფოთში ბ. ლავრენტი ტუღუშის სტამბა არსებობს. ამ სტამბაში იმავ დაარსების დღიდან ქართული წიგნებიც იბეჭდებოდა ხოლმე. ნელ-ნელა სტამბა ფეხს იმაგრებდა და წელში იმართებოდა; ეხლა ჩვენ შევიტყეთ, რომ სტამბის პატრონს სტამბისთვის ბევრი რამ საჭირო მასალები და ახალი ქართული ასოები გამოუწერია და მით შეუვსია სტამბის საჭიროება. დღეის შემდეგ ამ სტამბაში თავისუფლად შეიძლება ქართული წიგნები იბეჭდოს და მით ფოთშიაც გაჩნდეს ქართული მწიგნობრობის საქმე.

დღეს ამ სტამბაში სამი სხვა და სხვა ქართული წიგნი იბეჭდება, ერთი არის «ისტორიული ქრონიკები» შეკრებილი და ანუსხული თ. ჟორდანიას მიერ, გამოცემა ყოვლად სამღვდელო ალექსანდრე ეპისკოპოზისა. ქრონიკების დღემდე 200 გვერდზე მეტია დაბეჭდილი. მთელი წიგნაკი გრძელი ზომის იქნება და ამ ზამთარს გამოვა. ამავე სტამბაში დაიბეჭდება ორის ჩვენის პუბლიცისტის ნაწერები. დმ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღმერთმა ქმნას და გვენატრება დიდათ, რომ ამ სამეგრელოს ძირეულ კუთხის ქალაქში ქართულმა სტამბამ ფეხი მოიკიდოს.

მეორე სასიამოვნო ამბავი. დღემდე ფოთში არსებობს მხოლოდ ქალაქის საზოგადო სამკითხველო, რომელსაც ქალაქის გამგეობა ეხმარება. სამკითხველოს გარდა აქ საჭიროა ქართული წიგნების სავაჭრო ბინაც. ეხლა ამ საჭიროებისათვის ჯეროვანი ყურადღება მიუქცევია ქართველ ახალ-გაზდა ვაჭრის შვილებს გიორგი და ანდარია საბახტარაშვილებს და განუზრახავთ თვის მაღაზიაში, სადაც საკანცელარიო ნივთები იყიდება, ყველა ქართული წიგნებიც იქონიონ და მით ღონის-ძიება მისცენ მსურველთ ქართული წიგნების შეძენისა. დღემდე ფოთში ქართული წიგნების მოპოვება ერთობ ძნელი იყო. მაღაზიაში წიგნების მიღება უკვე დაიწყეს.

ფოთის საკრებულო ტაძრის ძირეულ გადაკეთებას შეუდგნენ. დიდი შეკეთება უნდება, ტაძარი სრულიად ახლდება ისე, რომ მას ნამდვილი ეკკლესიის სახე მიეცემა; კედლები მთლად აგურით და ქვით კეთდება. ხალხი კმაყოფილია ამ გარემოებით, რადგან დღემდე აქ ეკკლესია ხის მასალით გახლდათ გაკეთებული და ერთობ ციოდა.

ყოვლად სამღვდელო გრიგოლ ეპისკოპოსი, რომელიც ეხლახან რუსეთიდან ჩამოვიდა და გელათში დაბინავდა, გელათიდან მარტვილის მონასტერში აპირებს გადმობძანებას და ცხოვრებას.

ფ. ჯ.

ს. რუისი (გორის მაზრა). მიდის დრო-ჟამი; ჩვენს გარშემო ყოველისფერი ფერს იცვლის და წინ მიდის. ჩვენი სოფელი კი დღითი დღე უკან და უკან იწევს, ქვეითდება. ეს უკან ჩამორჩენა და დაქვეითება ყოველ-დღიურ ცხოვრებაში ისეთი შესამჩნევი არ არის, როგორც ხანდა-ხან, თვალ-საჩინო დღეებში, მაშინ, როცა ხალხი სცდილობს ხოლმე რამდენსამე წუთს მოისვენოს მძიმე ყოველი ცხოვრებისა და თავისუფლად ამოისუნთქოს. ასეთ დღეებად ქართლში გარდაქცეულა საეკკლესიო დღესასწაულები. ქართლში დღესასწაული სათემო შეერთობაა, სადაც გამოფენილია ხოლმე ქართლის ყოველნაირი ვითარება—გონებრივი თუ სულიერი და მატერიალური. რუისს ერთ ასეთ შესანიშნავ დღეთ გარდაქცევია 6 აგვისტო, ფერისცვალების დღე. ამ სოფელშია მშვენიერი ეკკლესია, ფერისცვალებისა და აი 6 აგვისტოს ამ ეკკლესიის გალავანში მოიყრის ხოლმე თავს დიდძალი ქალი და კაცი, მლოცავი თუ სეირის საყურებლად მოსულები. იქნება როდისმე სანუგეშო შთაბეჭდილებას ახდენდა ხოლმე მაყურებელზე ეს თემობა. ეხლა კი, თუ კაცი კარგად დააკვირდებოდა, აშკარად დაინახავდა, რომ თითქმის ყოველი სალხინოდ ამოღებული ხმა გულ დამწვეტ გლოვის ზარს უფრო მოჰგავდა. გადაავლეთ თვალი სალოცავად მოსულთა ჩაცმა დახურვას, მიხვრა-მოხვრას, ყოფა ქცევას. უმეტესად ჰხედავთ უსუფთაობას, გემოვნების უქონლობას, ბიჭ-ბუჭურ ყოფა-ქცევას. უმეტესი ნაწილი გამოუნელებლად მთვრალი დაიარება მთელი დღე და თუ შეგხვდებათ ფხიზელი კაცი, მისი დაბეჩავებული, სასოება-დაკარგული სახის გამომეტყველება გულს გიტანჯავს მაყურებელს. მხიარულობენ, ნუ იფიქრებთ თქვენ აქ გაიგონოთ რაიმე დარბაისლური ძველებური სიმღერების კილო. ყოველმხრიდან სმენას გიწამლავენ უზომოდ მთვრალები, «ავარასი» და სხვა ამნაირების მომღერლები, ან არღანი და სხვა უმზგავსი საკრავები.

ეკკლესიის გალავანშივე გამართული დუქან-ბაზრობა, არის ერთი ალიაქოთი, ღრიანცელი, დავი დარაბა. გალავანშივე დაუყენებიათ მლოცველთ ურმები, საქონელი და სირაჯ-მოვაჭრეებს ღვინის და სხვა ხორაგეულობის ურმები. მთელ გალავანში წამლად რომ გინდოდეს ერთ ღერ ბალახს ვერ იპოვნით. აუტანელია გალავანში ყოფნა, როცა ცეკვა-თამაშობა იმართება: ავარდება საშინელი მტვერი და ადამიანს სულს უხუთებს.

თითქო ყოველისფერი ისე მოეწყოთ ამ დღეს, რომ კაცს გულის ტკენის მეტი არაფერი ეგრძნოს. მოსაგონებელი იყო, რომ სკოლის შენობა მასხარა ცირკის მოთამაშეებისათვის მიექირავებინათ. ოდესღაც რუისის სასწავლებელს და სასწავლებლის სამკითხველოს სამაგალითო სახელი ჰქონდა გავარდნილი მთელ ქართლში. ყველა ცდილობდა წაბაძვას. რუისის მასწავლებელსაც საპატიო ადგილი ეჭირა ხალხში. მისი სჯეროდათ, დარიგებასა სთხოვდნენ. ახლა კი ყოველივე ზემოთქმული საოცნებო წარსულად გარდაქცეულა და თვით შენობა სასწავლებლისა, ახლად აშენებული და გამშვენიერებული ბედნიერ დღეებში მასხარაების, ქუჩის ბიჭ-ბუჭების სამყოფ სახლად გარდაქცეულა. გული მომიკვდა, როცა სასწავლებლის შენობიდან სკოლის ზარის ხმა მომესმა და სკოლის შეგირდების მაგივრად, ვიღაც საზიზღარი ცირკის მოთამაშეები და ღვინისაგან გალეშებული ვაჟბატონები დავინახე. არ ვიცი, როგორ შთაბეჭდილებას ახდენდა ხალხზე ეს სურათი და თითო ოროლა კი, ვისთანაც დალაპარაკება მომიხდა, ყველა უსიამოვნებას აცხადებდა სკოლის ადმინისტრაციის მომართ, სკოლის «ბალაგნათ» გადაქცევისათვის. სასიამოვნო და მლოცველთა სასოებაში მომყვანი იყო წირვის დროს გალობა. გალობდნენ სკოლის შეგირდები მასწავლებელი ქალის ლოტბარობით.

მ. გ.

ს. საჯილაო (ქუთაისის მაზრა). როგორც საქართველოს სხვა ადგილებში, ქვემო იმერეთშიაც ყოფილან სხვა და სხვა დღეობები. წინანდელი დღესასწაული იყო გამართობელი და გამამხიარულებელი, ჩვენი მამა პაპანი მკლავის სიმაგრეს და სიმარჯვეს აქ სცდიდენ და არა თანამოძმის დაჩეხა-აკუწვით, არამედ ჯირით-ბურთაობით და სხვ. დღეს კი დღეობებმა სრულიად ფერი იცვალა. ხშირად წავიკითხავთ გაზეთის ფურცლებზედ—ახალ-კგორას კაცი მოკლესო, ელიობას მეზობელთა შორის ჩხუბი და სისხლის ღვრა იყოვო და სხვა მრავალი. არც ერთ ჩვენ დღეობებზედ წინანდელ სიამოვნებას და გართობას ვერ ჰპოვებთ, მის ნაცვლად კი შეხვდებით უსიამოვნებას, კაცის კვლას, ჩხუბსა და დავიდარაბას. ეს წინანდელი სასიქადულო და გამართობელი დღესასწაული შექმნა დღეს სარბიელი იმ ვაჟბატონებისათვის, რომლებსაც სხვისი სიცოცხლე ჩალად მიაჩნიათ და ჩხუბი ცხონებას ურჩევნიათ. ექვს ამ თვეს, ფერისცვალობა დღეს, ს. საჯილაოში ჯვარიანობის დროს, ორი ახალ გაზრდა კორძაიები წაეჩხუბა ერთ გლეხს. ამ ჩხუბში გალეშილი მამასახლისი ჩამოერია ვითომდა გასაშველებლად, მაგრამ უფრო გასამწვავებლად. ეს შენიშნა იასონ კორძაიამ და მიიწია მის სახლისკაცებისაკენ წამოსაყვანად. მამასახლისმა მიაყვირა—«აქეთ ნუ მოხვალო»,—კორძაიამ გაკვირვებით ხმა მაღლა მიაძახა «აბა ჩემთან რა გინდაო». მამასახლისმა რევოლვერზე ხელი მოისვა და ახალგაზდა კორძაიამაც დააპირა ამოღება რევოლვერისა, მაგრამ მას ხალხი მიცვივდა და მიწევ-მოწევაში კორძაიას რევოლვერი უცბათ გავარდა და იქვე ფეხში მსუბუქად დაიჭრა მამასახლისის თანაშემწე. ამაზე მამასახლისმა მხლებელ «სტრაჟნიკებს» უბრძანა, «ესროლეთო» და იასონ კორძაია ორგან გახვრეტილი, «ბერდანკის» ტყვიით დაეცა. როგორც ვსთქვით, ამ გვარი შემთხვევები ბევრია და უფრო ხშირდება. ამიტომაც არის, რომ ყოველი შეგნებული ადამიანი სცდილობს ამ ელფერ დაკარგულ დღეობების გადაგდებას. კარგი იქნება, რომ უმრავლესობამაც შეიგნოს ეხლანდელი დღეობების უვარგისობა.

ყოჩანი.

საღამოს დეპეშები

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან")

11 აგვისტო

პეტერბურგი. ცეცხლის ხშირად გაჩენამ ამ წლის ზაფხულისა და გაზაფხულის განმავლობაში შინაგან საქმეთა სამინისტრომ სერიოზული ყურადღება მიაქცია: მინისტრის ამხანაგის დურნოვოს თავმჯდომარეობით საგანგებო საბჭო დაიარსეს. საბჭოს მიზნად აქვს გამოსძებნოს ღონისძიებანი, რათა მათის საშუალებით ქალაქებში და სოფლებში შეძლების და გვარად ცეცხლის გაჩენა შეამცირონ. განსაკუთრებითი ყურადღება უნდა იყოს მიქცეული იმაზე, რომ ცეცხლმა ეპიდემიური ხასიათი არ მიიღოს.

ბუხარესტი. როგორც გადმოგვცემს „რუმინიის სააგენტო", აქ არაფერი იციან რუსის ჯარების თავის მოყრის შესახებ, რუმინიის საზღვარზე, რასაც გაზეთები გვატყობინებდნენ.

პრეტორია. ყოველ თვე ბევრი გაქცეული ბური ტრანსვაალში დაბრუნების ნებას ღებულობს. დიდი ხანი არ არის მას აქეთ, რაც ასამდე გაქცეულმა ბურმა მიიღო ნებართვა.

ბრააფრეინეტი. ჰოლანდიელი მღვდელი მურრეინი გაემგზავრა აქედან დევეტთან, რომ დაითანხმოს დევეტი და კაპის ახალშენიდან ბურების რაზმები გამოაყვანინოს.

ლონდონი. კიტჩენერი იტყობინება პრეტორიიდან, რომ პოლკოვნიკი ვილიამსი თავის რაზმით მდინარე ვაალის ხეობით, კლერკსდორპისაკენ მიდიოდა. 6 აგვისტოს გაიგო, რომ კალკუტპლატსთან გადასახლებულ ბურების ქარავანი მიდიოდა. ვილიამსი გამოუდგა, დაეწია და გაცხარებულ ბრძოლის შემდეგ 9,000 პატრონი, 80 ფურგონი და ბევრი საქონელი წაართვა; 18 ბური დაატყვევა, მათ შორის ბლემპოფის უფროსი და ტელეგრაფის მოხელე დიუტუა.

ნიჟნი ნოვგოროდი. მდინარე ვოლგაზე, სტავროპოლის ახლო, გემი „ელაბუგა" და ორი ნავთით დატვირთული ნავი დაიწვა. გემი და ერთი ნავი „როსია"-ს საზოგადოებაში იყო დაზღვეული.

ხარკოვი. სავაჭრო ბანკის გამგეობის წევრი ნაჰაროვი, რომელიც ეკატერინოსლავიდან გაიქცა, დღევანდლამდის არ არის დაჭერილი, როგორც ზოგიერთი გაზეთები იუწყებოდნენ.

პეტერბურგის ბირჟა 10 აგვისტოს.

გაცვლის კურსი 3 თვით:

ლონდონზე 10 გირვ. სტ.—ში	94.00	
ბერლინზე 100 მარკაში	46,02½	
პარიზზე 100 ფრანკში	—	
ლონდონზე ჩეკები	94.65	
ბერლინზე „	46,30	
პარიზზე „	37,50	
ბირჟის დისკონტი	5½—7%	
4% სახელმწიფო რენტა	96	მყიდვ.
4½% შინაგანი სესხი 1893 წ.	—	
4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამ. ბანკისა	—	
5% 1-ლ შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.	428½	გაყიდ.
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	339¾	„
5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა	231½	„
3½% გირავ. ფურ. იმავე ბანკისა	88	„
5% ობლიგაციები ტფ. საკრედიტო საზოგ.	—	
4½% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა	—	
ტფილ. საადგ.-მამ. ბანკის 5% გირავნ. ფურცლ	—	
4½% გირავნობ. ფურც. იმავე ბანკისა	—	
ქუთ. საადგ.-მამ. ბანკის 6% გირ. ფურცლ	—	
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა	—	

რედაქტორი ალ. ჭყონია. გამომცემელი ალ. ჯაბადარი.

განცხადებანი

პანსიონი
და მოსამზადებელი სკოლა
გ. ი. ტომასისა

ელისაბედის და კიროჩნი ქუჩების კუთხე № 95/18. იღებენ ორივე სქესის ბავშვებს. სწავლა დაიწყება 1-ლ სექტემბრიდან. (5—1)

ნახშირის საწყობი
იაგორ მამინაიშვილისა
ვერის მოედანზე, ყაფუნთან.
ისყიდება საუკეთესო გაცხავებული და მშრალი ნახშირი.
შინ მიტანით 1 ფუთი 40 კაპ.

მე-XIII პერიოდი ბუჰგალტერიაში მაცადინეობისა.

ნ. ვ. აბრამიანი,

„სავაჭრო და საფაბრიკო ბუჰგალტერიის სახელმძღვანელოს" ავტორი, პრაქტიკულის ვარჯიშობით ასწავლის ბუჰგალტერიას ორივე სქესის პირთ ოთხას თვის განმავლობაში, თავდებობით და, თუ საჭირო იქმნება, რეკომენდაციითაც. ასწავლის შემდეგ საგნებს:

1) იტალიური ბუჰგალტერია მრეწველობის ყოველგვარ დარგისა, მათ შორის ნავთის წარმოებისაც და კეროსინის მრეწველობისაც.
2) კომმერციული არითმეტიკა.
3) კომერციული კორრესპონდენცია.
4) ვაჭრობისა და ვექსილის წესდება.
5) სუფთა-წერა, კალლიგრაფია და ცუდის ხელის გასწორება.

სწავლა დაიწყება 1901 წ. 15 ენკენისთვიდან, ნასადილევს, პერიოდულად ყოველ ოთხ-თვის შემდეგ.

მსურველთ ვთხოვ მომმართონ წერილით ან პირადად: კუკიაში, ნიკოლოზის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 48, ყოველ-დღე, საღამოს 4 საათიდან 6-მდე.

ზემოხსენებული სახელმძღვანელო იყიდება 3 მანათად და 50 კაპ. ტფილისში და აგრეთვე რუსეთის წიგნების ცნობილ მაღაზიებში. ვინც პირდაპირ ავტორიდან გამოიწერს, ფასდადებისათვის არაფერს იხდის.

ბუჰგალტერიის კურსის შესწავლის ფასი 60 მანათი. (10—3)

დაარსდა ქალაქ ტფილისში
პირველი
ცინკოგრაფია
წიგნების გამომც. ქართველთა ამხანაგობისა.
(ვანქის დიდი ქ., № 27. ტელეფონი № 372)

კლიშეების გაკეთება შეიძლება ფოტოგრაფიული სურათებიდან და ხელით ნახატიდან. შეიძლება გადაღება ძველი ნაწერების ნიმუშებისა, სიგელებისა და სხვ. ქალაქ გარეშე მცხოვრებთ შეუძლიანთ გადასაღები დედანი ფოსტით გამოგზავნონ. გაკეთებული კლიშე გაეგზავნებათ ფასის ზედ-დადებით. (1000—23)

ახალი წიგნი
სამეგრელოს აღწერა
არქანჯელო ლამბერტისა
იტალიურით ნათარგმნი
ალექსანდრე ჭყონიასი
(სამეგრელოს რუკით)
ფასი 1 მანეთი

დაბეჭდილია მცირეოდენი ცალი და იყიდება მხოლოდ: ტფილისში „წერა-კითხვის საზოგადოების" მაღაზიაში და ქართველთა ამხანაგობის კიოსკში და ქუთაისში—ჭილაძის და ბეჟანიშვილის მაღაზიებში.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 10 Августа 1901 г.
ელექტრონით მბეჭდავი სტამბა წიგნების გამომც. ქართვ. ამხანაგობისა